ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 95

ქ. თბილისი

19 აგვისტო 2016 წელი

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - კიბერუსაფრთხოების ბიურო (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორის მოადგილის გიორგი ბესტავაშვილის სახით. მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. საიდენტიფიკაციო კოდი: 200280622;

მიმწოდებელი: შპს "არქთრეიდი" (შემდგომში-მიმწოდებელი) დირექტორის მიხეილ კალანდაძეს სახით. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას გამზ. №71 II სართ. ბლოკი 8. ს/კ: 205039180, საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი MIBGGE22 , ანგარიშის ნომერი GE82PC0133600100060542.

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" და ,,ს[1]" ქვეპუნქტების შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ერთი ერთეული საოფისე სავარძელის **(CPV39100000)** სახელმწიფო სახსრებით შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 620.00 (ექვსას ოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადახდო დოკუმენტაციისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიწოდების ვადა, ადგილი

4.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ქ.თბილისი, ც. დადიანის 30 მე-3 სართული.

4.2. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღე

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება ჩაბარების წესი

6.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ლოგისტიკის განყოფილება, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და წარმოადგენს საკონტაქტო პირს.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადახდო დოკუმენტაციის და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით..

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან", ერთი ,,შემსყიდველთან".

შემსყიდველი:

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო

დირექტორის მოადგილე
გიორგი ბესტავაშვილი

მიმწოდებელი:

შპს "არქთრეიდი"

დირექტორი
მიხეილ კალანდაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. თბილისი

19 აგვისტო 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს მიერ **(39100000)** - ერთი ერთეული საოფისე სავარძლის გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაში (ხელშეკრულების დადების თარიღი №95 19.08.2016წ) მისი მონაწილეობა შპს. „არქთრეიდ“ - თან არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს:

დირექტორის მოადგილე — გიორგი ბესტავაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი — ნათია მელელაშვილი

19.08.16

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი — რევაზ ჩხარტიშვილი

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს ლოგისტიკის განყოფილების უფროსი — გრიგოლ ტატიშვილი

საფინანსო და სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს

სამმართველოს სახელმწიფო შესყიდვების

განყოფილების უფროსის მ/შ — ნათია მუკბანიანი